

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი NATALI ACADEMY



**NATALI ACADEMY**

**NATALI GROUP**

კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზის  
შეფასება და ანგარიში

23 ივლისი, 2025

## სარჩევი

შესავალი.....	3
პრაქტიკული სწავლების კომპონენტის გაძლიერება პროფესიულ პროგრამებში.....	3
მენტორული მხარდაჭერისა და ინდივიდუალური მიდგომების გაძლიერება.....	4
კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების უწყვეტი მხარდაჭერა.....	4
უკუკავშირის სისტემის ინსტიტუციური განვითარება და პერიოდული მონიტორინგი.....	4
ანალიზის შეფასების შედეგები.....	5
რეკომენდაციები ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.....	6
მონიტორინგისა და უკუკავშირის ინსტიტუციონალიზაცია.....	6
მენტორობისა და ინდივიდუალური მხარდაჭერის სისტემის განვითარება.....	7
კარიერული სერვისების გაძლიერება.....	7
დამსაქმებლის უკუკავშირის შეგროვება და გამოყენება პროგრამის განვითარების პროცესში.....	8
დასკვნა.....	8

## შესავალი

„Natali Academy“, როგორც საქართველოში აღიარებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, მუდმივად ზრუნავს სასწავლო პროგრამების შესაბამისობაზე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. ამ მიზნის მისაღწევად აკადემიამ 2025 წელს ჩაატარა კურსდამთავრებულთა ანონიმური გამოკითხვა, რომლის მეშვეობით შეაფასა სწავლების შედეგები, მასწავლებელთა კომპეტენცია, კურსდამთავრებულთა კმაყოფილება და დასაქმების მაჩვენებლები.

გამოკითხვა განხორციელდა ონლაინ Google Forms-ის პლატფორმის გამოყენებით. მონაწილეობა მიიღო აკადემიის სხვადასხვა პროფესიული პროგრამის 50-მა კურსდამთავრებულმა.

გამოკითხვის შედეგები ემსახურება როგორც არსებული პრაქტიკის ანალიზს, ისე განვითარებაზე ორიენტირებული ნაბიჯების დაგეგმვას. კვლევაში გამოყენებული იყო როგორც რაოდენობრივი, ისე ღია ტიპის, თვისებრივი კითხვარი, რამაც განაპირობა შედეგების სიღრმისეული ინტერპრეტაცია.

აკადემიის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი წარმოდგენილ იქნა სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ და ასახავს კურსდამთავრებულთა დაკვირვებებს, გამოცდილებებსა და მოლოდინებს, რაც მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესისა და გარემოს უწყვეტი განვითარებისათვის. გამოკითხვაში გამოვლენილი ძირითადი საკითხები ეხება პრაქტიკული სწავლების ხარისხს, ინდივიდუალურ მხარდაჭერას, კარიერული განვითარებისა და უკუკავშირის მექანიზმებს.

წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე, წინამდებარე ანგარიშში ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ განხორციელდა შედეგების შეფასება და შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც ითვალისწინებს აკადემიის სტრუქტურების შესაძლებლობებს და განვითარების მიმართულებებს.

## პრაქტიკული სწავლების კომპონენტი პროფესიულ პროგრამებში

განვითარებული პროფესიული განათლების საფუძველს წარმოადგენს თეორიული ცოდნის პარალელურად პრაქტიკული უნარების გამომუშავება. აღნიშნული მიზნით, სილამაზისა და ესთეტიკის სხვადასხვა მიმართულებით, აკადემიაში ხშირად ტარდება მასტერკლასები და სემინარები, სადაც აკადემიის სტუდენტების გარდა, სხვა დაინტერესებულ საზოგადოებასაც აქვს დასწრების შესაძლებლობა. სემინარებს უძღვებიან მრავალწლიანი გამოცდილების მქონე დარგის სპეციალისტები, მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოყენებით.

მოცემული ანალიზის საფუძველზე რეკომენდებულია პროფესიულ პროგრამებში პრაქტიკული სწავლების არსებულ ფორმატთან ერთად დამატებითი ტიპის აქტივობების განხორციელება და ფორმატის გაფართოება მაგალითად, სასწავლო ექსკურსია. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობდა სტუდენტების პროფესიული მზაობის ზრდის, კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე და კურსდამთავრებულთა წარმატებულ დასაქმებას.

## მენტორული მხარდაჭერისა და ინდივიდუალური მიდგომების გაძლიერება

სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთ მძლავრ მექანიზმად რჩება ინდივიდუალური მიდგომის უზრუნველყოფა, რაც მოიცავს სტუდენტთა საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებული საგანმანათლებლო და საგაკვეთილო მეთოდების გამოყენებას. ამ მხრივ მიზანშეწონილია, რომ აკადემიამ განავითაროს მენტორობის მექანიზმები და გააძლიეროს ინდივიდუალური კონსულტაციების სისტემა. აღნიშნული ნაბიჯი ხელს შეუწყობს სწავლების პროცესში სტუდენტთა მოტივაციის ზრდას და საბოლოოდ — აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. ინდივიდუალური მხარდაჭერა განსაკუთრებით ეფექტურია, როცა იგი ეფუძნება სწავლების პროგრესის პერიოდულ მონიტორინგს და უკუკავშირის მექანიზმებს.

## კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების უწყვეტი მხარდაჭერა

თანამედროვე საგანმანათლებლო დაწესებულების ერთ-ერთი ამოცანაა კურსდამთავრებულთა შრომით ბაზარზე ეფექტურად ინტეგრაციის ხელშეწყობა. შესაბამისად, მიზანშეწონილია კურსდამთავრებულებისთვის განუწყვეტლივ არსებობდეს პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდაჭერის სერვისები, როგორცაა: კარიერული კონსულტაციები და ვორქშოპები, სამუშაოს მაძიებელთა მონაცემთა ბაზის გაფართოება და მუდმივი განახლება, აგრეთვე პარტნიორ ორგანიზაციებთან კომუნიკაციის გაძლიერება დასაქმების შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად. კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარება უნდა გრძელდებოდეს სწავლის დასრულების შემდეგაც. იგი უნდა იყოს ინსტიტუციურად გამაგრებული, სტრუქტურირებული და ხანგრძლივადიანი მხარდაჭერის სისტემა.

## უკუკავშირის სისტემის ინსტიტუციური განვითარება და პერიოდული მონიტორინგი

საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტი გაუმჯობესებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ხარისხის შიდა და გარე შეფასების მექანიზმებს. რეკომენდებულია კურსდამთავრებულთა უკუკავშირის სისტემის ფორმალიზება და

რეგულარული მონიტორინგის მექანიზმების დანერგვა. უკუკავშირის შეგროვება მოხდეს როგორც სტანდარტიზებული კითხვარების მეშვეობით, ისე ღია ფორმატით (ინტერვიუები, ფოკუს-ჯგუფები, ელექტრონული პლატფორმები). მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ინფორმაცია ინტეგრირდეს აკადემიური დაგეგმარების პროცესში და მას დაეფუძნოს გადაწყვეტილებების მიღება, რაც უზრუნველყოფს პროგრამების მუდმივ გაუმჯობესებას და სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომების გაძლიერებას. ამგვარად, უკუკავშირი არის განათლების ხარისხის მართვის სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და სტრატეგიული კომპონენტი.

## ანალიზის შეფასების შედეგები

კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზის შეფასების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

### 1. პროფესიაში დასაქმების მაჩვენებელი

- კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი (58%) დასაქმებულია იმავე პროფილით, რომელიც აკადემიაში შეისწავლა.
- მაღალია თვითდასაქმების (22%) მაჩვენებელიც, რაც მიუთითებს მეწარმეობის საბაზისო უნარების კარგად ათვისებაზე.

### 2. განათლების ხარისხისადმი კმაყოფილება

- სწავლის ხარისხი და მასწავლებელთა კომპეტენცია საშუალოდ შეფასდა მაღალი - 4.5–5 ქულით (5-ბალიანი შკალით).
- კურსდამთავრებულები დადებითად აფასებენ როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სწავლებას.

### 3. სწავლის ხანგრძლივობა და კმაყოფილება

- პროგრამების ხანგრძლივობა აღიქმება ოპტიმალურად (72%).
- აღინიშნა მაღალი კმაყოფილება პროფესიული არჩევანისა და პროგრამის შინაარსით.

### 4. რეკომენდაციის გაწევა

- მონაწილეთა უმრავლესობა (90%) მზადაა აკადემია ურჩიოს სხვებს, რაც ლოიალურობისა და რეპუტაციის ძლიერ მაჩვენებლად განიხილება.

### 5. განვითარების საჭიროებები (ღია კომენტარებიდან)

- მონაწილეთა ნაწილი გამოხატავს სურვილს მეტი პრაქტიკისა და ინდივიდუალური მიდგომების მიმართ.
- აღნიშნა მოლოდინი კარიერული მხარდაჭერის გაძლიერებაზე.
- არაერთი მონაწილე დადებითად აღნიშნავს აკადემიის პროფესიონალურ გარემოსა და ორგანიზებულობას.

## რეკომენდაციები ხარისხის გაუმჯობესების მიზნით

კურსდამთავრებულთა ნაწილი ხაზს უსვამს პრაქტიკული სწავლების სისტემური ინტეგრაციის მნიშვნელობას, რომლის მიზანია, გადაეცეს სტუდენტებს კონკურენტუნარიანი პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც პირდაპირ კავშირში იქნება მათი პროფესიით დასაქმებასთან. აღნიშნულის უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებულია სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ:

1. გაუმჯობესდეს სტაჟირების არსებული კომპონენტი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის, რომელშიც აღწერილი იქნება მოლოდინები, შეფასების მექანიზმები და პრაქტიკის შესაძლებლობები.
2. დაიდოს/განახლდეს მემორანდუმები დასაქმების შესაძლებლობების შესახებ კონკრეტულ პროფესიულ მიმართულებებზე პოტენციურ დამსაქმებლებთან — სალონები, კლინიკები, სტუდიები, მცირე ბიზნესი — თანამშრომლობის ღია და გამჭვირვალე მოდელით.

შედეგად, სტუდენტების მიერ მიღებული პრაქტიკული გამოცდილება გააუმჯობესებს დასაქმების შანსებს და შეამცირებს პროფესიული ადაპტაციის პერიოდს დამსაქმებლისთვის.

## მონიტორინგისა და უკუკავშირის ინსტიტუციონალიზაცია

კურსდამთავრებულთა შეფასების შედეგები უნდა იყოს აქტიურად გამოყენებული და განვითარებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების საფუძველი.

**რეკომენდაციები სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის მიმართ:**

3. დაინერგოს/გაძლიერდეს კურსდამთავრებულთა ყოველწლიური გამოკითხვების გეგმა.
4. სტუდენტთა უკუკავშირი ინტეგრირდეს აკადემიური განვითარების გეგმაში.
5. შემუშავდეს განვითარების ციკლი - მონაცემების შეგროვება, ანალიზი, განხილვა და ცვლილებების განხორციელება.

შედეგად, სწავლის ხარისხის მართვა გახდება პროაქტიური და მტკიცებულებაზე დაფუძნებული.

### მენტორობისა და ინდივიდუალური მხარდაჭერის სისტემის განვითარება

კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია გაუმჯობესდეს სტუდენტზე მორგებული სწავლება და ხელი შეეწყოს მოტივაციის შენარჩუნებას.

#### რეკომენდაციები:

6. სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ ყოველ ორ კვირაში ერთხელ, პროგრესის დადგენის მიზნით, განისაზღვროს ინდივიდუალური საკონსულტაციო დრო (სტუდენტთა სურვილის შესაბამისად).
7. ადამიანური რესურსების მენეჯერის მიერ პროფესიული მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ჩატარდეს შიდა ტრენინგი საკომუნიკაციო და მოტივაციური მიდგომების მიმართულებით.

შედეგად, შესაძლოა ამ მექანიზმმა შეამციროს სწავლის შეწყვეტის შემთხვევები, გაიზარდოს ჩართულობა და უკუკავშირის ხარისხი.

### კარიერული სერვისების გაძლიერება

მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და თვითდასაქმების გზების გამარტივება და გაძლიერება.

#### რეკომენდაციები სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის მიმართ:

8. გაძლიერდეს კარიერული განვითარების მიმართულება და ციფრული პლატფორმა, სადაც განთავსდება:
  - o აქტუალური ვაკანსიები
  - o CV/პორტფოლიოს შაბლონები
  - o კარიერული რჩევები
9. ჩატარდეს ვორქშოპები თემებზე: გასაუბრების ტექნიკა, თვითპრეზენტაცია, დამსაქმებელთან მოლაპარაკება.
10. ჩატარდეს ან აკადემიამ მონაწილეობა მიიღოს დასაქმების ფორუმში, სადაც დამსაქმებლებსა და სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ მონაწილეობა.

შედეგად, კურსდამთავრებულები შეძლებენ მიზანმიმართული დასაქმების პროცესში ჩართვას და საკუთარი პროფესიული თვითდამკვიდრების გაძლიერებას. ასევე, გაიზრდება თვითდასაქმებულის კურსდამთავრებულების რიცხვი და შემცირდება სამუშაოს ძიების პერიოდი.

### დამსაქმებლის უკუკავშირის შეგროვება და გამოყენება პროგრამის განვითარების პროცესში

პროგრამის განვითარების პროცესში შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება პირდაპირი ასახვა მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და მათი ცოდნისა და უნარების არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაში.

### რეკომენდაციები სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის მიმართ:

11. დამსაქმებლების მიერ შეივსოს შეფასების კითხვარი, სადაც შეაფასებენ კურსდამთავრებულების პრაქტიკულ და ქცევით უნარებს.
12. მოხდეს პასუხების გაანალიზება და გამოყენებულ იქნეს პროგრამების განახლების პროცესში.

შედეგად, სასწავლო პროგრამები გახდება მეტად მორგებული შრომის ბაზრის მოლოდინებზე და კურსდამთავრებულებს ექნებათ მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციები.

### დასკვნა

2025 წლის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი ადასტურებს, რომ ნატალი აკადემია წარმატებით ასრულებს თავის მისიას - უზრუნველყოს ხარისხიანი, პრაქტიკაზე ორიენტირებული პროფესიული განათლება, რომელიც რეალურად ზრდის დასაქმებისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობებს, თუმცა მუდმივად საჭიროებს განვითარების პერსპექტივებსა და რესურსს. კურსდამთავრებულთა უმრავლესობა დადებითად აფასებს როგორც აკადემიურ პროცესს, ისე პედაგოგიური პერსონალის კომპეტენციას და ორგანიზაციულ გარემოს.

შეფასებები მიუთითებს პროგრამების რეალურ სარგებელზე, მაღალი კმაყოფილების დონესა და რეკომენდაციის მზაობაზე, რაც ორგანიზაციის რეპუტაციის მნიშვნელოვან ინდიკატორად შეიძლება ჩაითვალოს.

ამავდროულად, ღია კომენტარები გვთავაზობს კონკრეტულ მიმართულებებს გაუმჯობესებისთვის, რაც აკადემიას ეხმარება სწავლების პროცესის განვითარებაში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აკადემიის საქმიანობა მტკიცედ ეფუძნება ხარისხსა და პასუხისმგებლობას - სტუდენტებისა და პროფესიული საზოგადოებისთვის.

აღნიშნული რეკომენდაციების განხორციელება გარკვეული ოდენობის ფინანსურ რესურსთან ერთად საჭიროებს პროცესების გადახედვას, პერსონალის გადამზადებასა და არსებული გამოცდილების ეფექტურ მობილიზებას. მათი ეტაპობრივად დანერგვა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს როგორც სასწავლო ხარისხს, ასევე დასაქმების მაჩვენებლებს, გააძლიერებს აკადემიის პოზიციონირებას პროფესიული განათლების სისტემაში.